გენდერული მეინსტრიმინგი

საინფორმაციო ცნობარი

რა არის გენდერული მეინსტრიმინგი?

გენდერული მეინსტრიმინგი გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების გლობალურად აღიარებული სტრატეგიაა. ეს არის პროცესი, როცა ქალებისა და კაცების ინტერესები და საჭირობები გათვალისწინებულია პოლიტიკაში, პროგრამებსა და პროექტებში, იმისათვის, რომ გენდერული თანასწორობის საკითხები ყველა დონეზე, ყველა ეტაპზე იყოს გადაწყვეტილების მიმღები პირების მიერ მხარდაჭერილი. (ევროკომისია, 1998).

გენდერული მეინსტრიმინგი მოიცავს, როგორც გენდერული პერსპექტივების პოლიტიკაში ინტეგრაციას, ასევე, პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში კაცებისა და ქალების წარმომადგენლობის საკითხებს.

გენდერული მეინსტრიმინგის ვალდებულება ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზაა სახელმწიფოებისთვის გენდერული თანასწორობის მხარდასაჭერად და ხელშესაწყობად. გენდერული მეინსტრიმინგი უზრუნველყოფს ქალებისა და კაცებისათვის რესურსებზე ხელმისაწვდომობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობისას თანაბარი უფლებებისა და შესაძლებლობების ქონას.

რატომ არის მნიშვნელოვანი გენდერული მეინსტრიმინგი?

გენდერული მეინსტრიმინგი ინკლუზიური სტრატეგიაა, რომელიც მიზნად ისახავს ყველა ადამიანის, ქალებისა და კაცების, ბიჭებისა და გოგონების საჭიროებების პოლიტიკასა და პროგრამებში ინტეგრირებას, მათი განსხვავებულობის გათვალისწინებით. გენდერული მეინსტრიმინგის საშუალებით ჩარევა უფრო ეფექტიანი ხდება, რადგან ის ცხადყოფს უთანასწორობას.

**ეს პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის მხარდაჭერით.
მის შინაარსზე სრულად პასუხისმგებელია ორგანიზაცის ნირასი და
შესაძლოა, რომ იგი არ გამოხატავდეს ევროკავშირის შეხედულებებს.**

რა არის „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: რეფორმების ტექნიკური ჯგუფი“?

ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტი „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: რეფორმების ტექნიკური ჯგუფი“ (EU4Gender Equality Reform Helpdesk), მოთხოვნის შესაბამისად დახმარებას უწევს სახელმწიფო უწყებებს[1] და ევროკავშირის დელეგაციებს აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებში,[2] პოლიტიკის შემუშავებისა და რეფორმების დანერგვის პროცესებში გენდერული მეინსტრიმინგის კუთხით, ქალებისა და კაცებისთვის ეფექტიანი შედეგების მიღწევის უზრუნველსაყოფად.

მიზნობრივი აუდიტორია

აღნიშნული ცნობარის გამოყენება შეუძლია ყველას, ვინც ჩართულია სამართლებრივი აქტების, პოლიტიკის, პროგრამებისა და პროექტების შემუშავების პროცესში. (სახელმწიფო უწყებების თანამშრომლები, ევროკავშირის დელეგაციები, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები და სხვა საერთაშორისო პარტნიორები), რომლებიც აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და მის ფარგლებს გარეთ სარგებლის მოტანას ისახავს მიზნად. მისი გამოყენება შეუძლიათ ასევე მკვლევარებს, აკადემიური წრეებისა და მასმედიის წარმომადგენლებს, რომლებიც იკვლევენ ან/და ამზადებენ ანგარიშებს კანონმდებლობის, პოლიტიკისაა და პროექტების შემუშავებასთან დაკავშირებით.

---

[1] ბელარუსში რეფორმების ტექნიკური ჯგუფი მხოლოდ ევროკავშირის დელეგაციას უწევს დახმარებას.
[2] აღმოსავლეთ პარტნიორობა (EaP) ევროკავშირის, მისი წევრი ქვეყნების და აღმოსავლეთ ევროპის ექვსი პარტნიორი ქვეყნის: სომხეთის, აზერბაიჯანის, ბელორუსიის, საქართველოს, მოლდოვისა და უკრაინის, ერთობლივი ინიციატივაა.

ევროკავშირი საქართველოსთვის

ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: რეფორმების ტექნიკური ჯგუფი

ახორციელებს

NIRAS

გენდერული მეინსტრიმინგი უზრუნველყოფს მაღალი ხარისხის, რელევანტური პოლიტიკის შემუშავებასა, ვინაიდან მისი საშუალებით, პოლიტიკა და პროგრამები ყველა მოქალაქის საჭიროებებს ეფექტიანად აკმაყოფილებს. უკეთესი შედეგები ქალებისა და კაცების კეთილდღეობის ზრდას განაპირობებს და სოციალურად სამართლიან და მდგრად საზოგადოებას აყალიბებს.

აღნიშნული მიდგომა რესურსების ეფექტიანად გადანაწილების საშუალებას იძლევა; ამის საპირისპიროდ, ის გადაწყვეტილებები, რომლებიც სრულად არ ითვალისწინებს თითოეული ბენეფიციარის საჭიროებებსა და მდგომარეობას, შეუსაბამო გადაწყვეტილებების მიღებას და სახელმწიფო სახსრების არასწორად გადანაწილებას განაპირობებს.

როგორ გავითვალისწინოთ გენდერული თანასწორობის საკითხები პოლიტიკასა და პროგრამების ციკლში?

გენდერული მეინსტრიმინგი შეიძლება გამოყენებულ იქნას პროგრამის მთელი ციკლის განმავლობაში, შემდეგი ნაბიჯების განხორციელებით:

1

ნაბიჯი 1: გენდერული ანალიზი
გენდერული ანალიზის მიზანია მტკიცებულებების შეგროვება გენდერულად მგრძნობიარე პოლიტიკისა და პროგრამების ჩამოყალიბებისთვის. გენდერული ანალიზი გენდერული მეინსტრიმინგის კრიტიკულად მნიშვნელოვანი საწყისი წერტილია. ის არსებული კონტექსტის ანალიზის განუყოფელი ნაწილია, რომელიც ადგენს თუ როგორ და რატომ მოქმედებს სხვადასხვა ფაქტორი ქალებსა და კაცებზე განსხვავებულად და რა გზები არსებობს აღნიშნული გამოწვევების გადასალახად. (დამატებითი ინფორმაციის მოსაპოვებლად, იხილეთ ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: რეფორმების ტექნიკური ჯგუფის გენდერული ანალიზის საინფორმაციო ცნობარი.)

2

ნაბიჯი 2: პროგრამის ჩამოყალიბება
აღნიშნულ ეტაპზე ხდება გენდერული ანალიზის მიგნებების გათვალისწინება. პროგრამის ჩამოყალიბება მოიცავს პრიორიტეტული საკითხების განსაზღვრას, მიზნობრივი ჯგუფების და სამიზნე არეალის შერჩევას და პროგრამის შედეგებში, ინდიკატორებსა და ინტერვენციის მეთოდოლოგიაში მათ ინტეგრაციას.

3

ნაბიჯი 3: რესურსების განაწილება
გენდერული მეინსტრიმინგის პროცესში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს რესურსების ადეკვატურად გადანაწილებას გენდერული საკითხების პროგრამულ ციკლში გასათვალისწინებლად.

4

ნაბიჯი 4: პროგრამის განხორციელება
ეს ეტაპი გულისხმობს პროგრამის განსახორციელებლად დაინტერესებული მხარეების, მათ შორის ქალთა ორგანიზაციების ჩართვის გზით, მულტისექტორული და მულტიდისციპლინური თანამშრომლობის ხელშეწყობას.

5

ნაბიჯი 5: მონიტორინგი და შეფასება
ეფექტიანი მონიტორინგი და შეფასება საშუალებას გვაძლევს ჩამოვაყალიბოთ გენდერულ თანასწორობასთან დაკავშირებული მტკიცებულებათა ბაზა, რაც განვითარების და დაგეგმვის საშუალებას იძლევა და ინსტიტუციებს გენდერული თანასწორობის ვალდებულებების შესრულებას აკისრებს. (გაეროს ქალთა ორგანიზაცია, 2014).

გლობალური და ევროკავშირის დებულებები გენდერული მეინსტრიმინგის შესახებ

გენდერული მეინსტრიმინგი საერთაშორისო სამართლებრივი აქტებით აღიარებული ვალდებულებაა. აღნიშნული ვალდებულება აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შემდეგი საერთაშორისო აქტების საფუძველზე ეკისრებათ:

1. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ გაეროს კონვენცია (CEDAW), 1979.
2. პეკინის დეკლარაცია და სამოქმედო პლატფორმა, 1995.
3. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუცია (UNSCR) 1325 ქალები, მშვიდობა და უსაფრთხოება (WPS) და ამავე საკითხზე გაეროს უშიშროების საბჭოს ცხრა დამატებითი რეზოლუცია.
4. 2030 წლის მდგრადი განვითარების დღის წესრიგი და მისი მდგრადი განვითარების 17 მიზანი (SDGs).

გენდერული მეინსტრიმინგი ევროკავშირის პოლიტიკური დღის წესრიგის მნიშვნელოვანი საკითხი გახდა. სხვადასხვა დოკუმენტის მეშვეობით, ევროკავშირმა დაადგინა გენდერული მეინსტრიმინგის დანერგვის ვალდებულება ევროკაშირის ინსტიტუციებისთვის. ეროვნულ დონეზე, გენდერული თანასწორობის მეინსტრიმინგის ვალდებულება წევრ სახელმწიფოებს აკისრიათ.

ევროკავშირის 2020-2025 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგია მოიცავს კონკრეტულ ამოცანებსა და ღონისძიებებს გენდერულად თანასწორი ევროპისკენ წინსვლის მისაღწევად. სტრატეგიის მიზანია შეიქმნას ისეთი ერთობა, სადაც ქალები, კაცები, გოგონები და ბიჭები, მათი განსხვავებულობის გათვალისწინებით, შეძლებენ თავად აირჩიონ ცხოვრების გზა, ჰქონდეთ თანაბარი შესაძლებლობები, მიაღწიონ წარმატებას და ისარგებლონ თანაბარი უფლებებით, იყვნენ ევროპული საზოგადოების წევრები და თანაბრად ჩაერთონ მის მართვაში.

სტრატეგიის მთავარი მიზნებია გენდერული ნიშნით ძალადობის აღმოფხვრა, გენდერული სტერეოტიპების წინააღმდეგ ბრძოლა, შრომის ბაზარზე გენდერული უთანასწორობის შემცირება, ეკონომიკის

სხვადასხვა დარგში თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა, გადასახადებთან და საპენსიო სხვაობებთან დაკავშირებული საკითხის მოგვარება, გადაწყვეტილების მიღებისა და პოლიტიკურ პროცესებში თანაბარი მონაწილეობის უზრუნველყოფა. სტრატეგია გენდერული მეინსტრიმინგისა და მიზნობრივი ქმედებების ორმაგ მიდგომას აერთიანებს, რისი განხორციელებისთვისაც ინტერსექტორულობა ჰორიზონტალურ პრინციპს წარმოადგენს.

ევროკავშირის 2020-2025 წლების გენდერული თანასწორობის სტრატეგია ორიენტირებულია ევროკავშირის ფარგლებში აქტივობების განხორციელებაზე, ასევე, ის თანხვედრაშია გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მიმართულებით ევროკავშირის საგარეო პოლიტიკასთან.

ევროკავშირის 2021-2025 წლების სამოქმედო გეგმა საგარეო ურთიერთობებში გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების შესახებ (GAP III) მიზნად ისახავს ქალებისა და გოგონების გაძლიერების მიმართულებით პროგრესის დაჩქარებას. GAP III ხელს უწყობს ტრანსფორმაციულ და ინტერსექტორულ მიდგომას და უზრუნველყოფს გენდერული თანასწორობის დანერგვას ყველა სახის პოლიტიკასა თუ ქმედებაში. ევროკავშირმა აიღო ვალდებულება, რომ გენდერული თანასწორობა მისი საგარეო მოქმედებების სულ ცოტა 85%-ის უმთავრესი მიზანი და ამოცანა ყოფილიყო.

აღდგენის, ძალების განახლების/მედეგობისა და რეფორმების შესახებ აღმოსავლეთ პარტნიორობის განახლებული დღის წესრიგის მიხედვით, ევროკავშირს აღებული აქვს ვალდებულება სისტემატიური გენდერული მეინსტრიმინგისა და გენდერულად მგრძნობიარე ბიუჯეტირების მეშვეობით, მხარი დაუჭიროს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების პოლიტიკის მიმართულებით.

კარგი პრაქტიკის მაგალითები

მიუხედავად იმისა, რომ გენდერული თანასწორობა ფორმალურად გათვალისწინებულია აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების კონსტიტუციებსა და სამართლებრივ სისტემებში, გენდერული მეინსტრიმინგის ნაკლებობა ხელს უშლის არსებითი გენდერულ თანასწორობის მიღწევას. შესაბამისად, ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: რეფორმების ტექნიკური ჯგუფი მხარს უჭერს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში პროგრამებისა და რეფორმების ფარგლებში გენდერულ მეინსტრიმინგს. კარგი პრაქტიკის მაგალითები მოიცავს:

სომხეთი: რეფორმების ტექნიკურმა ჯგუფმა მხარი დაუჭირა გენდერულ მეინსტრიმინგს ეკონომიკური რეაგირების პროგრამასა და სომხეთის რესპუბლიკის სამოქმედო გეგმაში, ასევე სომხეთის 2021-2027 წლების მრავალწლიური ინდიკატურ/თემატურ პროგრამასა (the Multi-Annual Indicative Programme) და ევროკავშირის სომხეთში წარმომადგენლობის განათლების შესახებ სამოქმედო პროგრამის გეგმის შემუშავებაში.

აზერბაიჯანი: რეფორმების ტექნიკურმა ჯგუფმა მხარი დაუჭირა გენდერულ მეინსტრიმინგს იუსტიციის სექტორის რეფორმის პროცესში, იუსტიციის სამინისტროს, პენიტენციური სამსახურების და აზერბაიჯანის რესპუბლიკის იუსტიციის აკადემიის თანამშრომლების ციხის სისტემის გენდერულად მგრძნობიარე მართვისა და ქალი პატიმრების საზოგადოებაში რეინტეგრაციის საკითხებზე გადამზადების გზით.

საქართველო: რეფორმების ტექნიკურმა ჯგუფმა, საქართველოში გენდერული მეინსტრიმინგის ახალ კანონმდებლობაში დანერგვის ხელშეწყობის მიზნით, „სურსათის დანაკარგების და სურსათის ნარჩენების შემცირებისა და სურსათის შეწირულობის შესახებ“ საქართველოს კანონპროექტის გენდერული გავლენის შეფასება განახორციელა.

მოლდოვა: ამჟამად რეფორმების ტექნიკური ჯგუფი მოლდოვის თავდაცვის სამინისტროს უწევს დახმარებას, გაეროს უსაფრთხოების საბჭოს 1325 რეზოლუციაზე დაყრდნობით, ახალი სამოქმედო გეგმის ჩამოსაყალიბებლად.

უკრაინა: რეფორმების ტექნიკური ჯგუფის დახმარებით, 2022-2032 წლების უკრაინის აღდგენის გეგმაში გენდერული მეინსტრიმინგის საკითხებზე მომუშავე 40 ექსპერტისგან შემდგარი ჯგუფი ჩამოყალიბდა. ექსპერტთა ჯგუფი უკრაინის ეროვნული საბჭოს მიერ ჩამოყალიბებულ 24 დარგობრივ სამუშაო ჯგუფში გენდერული თანასწორობის საკითხების ინტეგრაციაზე მუშაობდა. გენდერული მეინსტრიმინგის მიდგომა პოლიტიკის ხუთი დოკუმენტისა და უკრაინის აღდგენის კონფერენციისთვის (ლუგანო, 2022 წლის ივლისი) მომზადებულ ანალიტიკურ მასალებში ინტეგრიდა, რაც შემდეგ საკითხებს ეხებოდა: ეკონომიკური აღდგენა, სოციალური აღდგენა, ინფრასტრუქტურული აღდგენა, მარტივად აღდგენადი არქიტექტურა და, გარემოს/ბუნების აღდგენა.

სასარგებლო ბმულები:

- EU4Gender Equality Reform Helpdesk project page- „ევროკავშირი გენდერული თანასწორობისთვის: რეფორმების ტექნიკური ჯგუფის“ პროექტის გვერდი.
- Gender Equality Library- გენდერული თანასწორობის ბიბლიოთეკა
- EU Neighbours East website- ევროკავშირის აღმოსავლეთის მეზობლების ვებ-გვერდი.

ეწვიეთ გენდერული თანასწორობის ბიბლიოთეკას

© ევროკავშირი 2023